ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6743834

ნომერი: AR1998896

თარიღი : 03.11.2023

გაცემის თარიღი : 03.11.2023

გაცნობის თარიღი : 03.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე მელიქიშვილის გამზირი, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან გიორგაძე პ/ნ 01018001223
- საქართველო, ქალაქი თბილისი, არჩილ ცაგარელის ქუჩა, N 38, ბინა 44

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 3 ნოემბერს №AR1998896 განცხადებით მომართა რუსუდან გიორგაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 9

ოქტომბრის №6701621 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებით, №01.15.03.014.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 19 ოქტომბრის №6717925 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 19 ოქტომბრიდან 2025 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 1663.07 კვ.მ-ის ნაცვლად 1663.06 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 2706.59 კვ.მ-ის ნაცვლად 2706.58 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 927.96 კვ.მ-ის ნაცვლად 930.28 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1460.22 კვ.მ-ის ნაცვლად 1319.75 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 403.7 კვ.მ-ის ნაცვლად 403.69 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 13400.11 კვ.მ-ის ნაცვლად 13261.93 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი -4.90, „+0.00, -1.40, - 1.60“, +6.40, +10.10, +21.20, +24.90 და +31.50 ნიშნულების გეგმები და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული -4.90, „+0.00, -1.40, - 1.60“, +6.40, +10.10, +21.20, +24.90 და +31.50 ნიშნულების გეგმები არ იცვლება უბრალოდ ხდება აღნიშნული ნიშნულების გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1663.06 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 2706.58 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 930.28 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1319.75 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 403.69 კვ.მ., საერთო ფართობად - 13261.93 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებით შეთანხმებული -4.90, „+0.00, -1.40, - 1.60“, +6.40, +10.10, +21.20, +24.90 და +31.50 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 ოქტომბრის №6701621 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.